| | |
|---|---|
| აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს<br>ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტების<br>თემატური მოკვლევა | |
| **შშმ პირთათვის გარემოს ხელმისაწვდომობის შესწავლა** | |
| **ტექნიკური მოთხოვნები** | |
| **საკითხის შესახებ** | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტებმა 2022 წლის 31 მაისის ერთობლივ სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება თემატური მოკვლევის დაწყების თაობაზე.<br><br>ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის თანახმად, მოსახლეობის დაახლოებით 15% შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია. ამასთან, საქართველოში მოსახლეობის მხოლოდ 3%-ია რეგისტრირებული შშმ პირად სოციალური მომსახურების სააგენტოში.<br><br>თანამედროვე საზოგადოების მიზანია, ნებისმიერი ადამიანისთვის განვითარებისა და თვითრეალიზების თანაბარი პირობების შექმნა. მათ შორის, მნიშვნელოვანია სპეციალური საჭიროების მქონე პირების მაქსიმალური ინტეგრირება და ჩართულობა საზოგადოებაში მიმდინარე პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ თუ კულტურულ პროცესებში. უნდა ითქვას, რომ, როდესაც ადამიანი თავს გრძნობს განსხვავებულად, მისთვის რთულია დაძლიოს მის წინაშე წარმოქმნილი ბარიერები, რომლებიც ხელს უშლის ინტეგრაციას და არ აძლევს განვითარების საშუალებას.<br><br>ერთ-ერთი ძირითადი და მნიშვნელოვანი პირობაა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, შესაბამისი გარემოს ხელმისაწვდომობის არსებობა. კერძოდ, ადაპტირებული გარემო და ტრანსპორტირება (გადაადგილებასთან დაკავშირებული ასპექტები). |

| | |
|---|---|
| | მნიშვნელოვანია ფიზიკური, ინსტიტუციური და სოციალური პირობები, რომელიც შშმ პირს აძლევს თანაბარ შესაძლებლობას ისარგებლოს ყველა საზოგადოებრივი საშუალებებით (მათ შორის, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას კულტურულ, სპორტულ, პოლიტიკურ ან სხვა ღონისძიებაში მონაწილეობა), აგრეთვე ტრანსპორტით, საინფორმაციო და კომუნიკაციის საშუალებებით.<br>მოკვლევის თემაა:<br>• აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საჭიროებებზე მორგებული გარემოს (ადაპტირებული შენობა-ნაგებობების, სატრანსპორტო საშუალებების, დამხმარე საშუალებებისა და მათი ეფექტიანი ხელმისაწვდომობის) შესწავლა;<br>• ამ კუთხით არსებული ხელშემშლელი ფაქტორებისა და შესაძლო ნაკლოვანებების გამოკვლევა და გამოვლენა;<br>• მოკვლევის პერიოდში მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე დოკუმენტურად დასაბუთებული დასკვნის მომზადება;<br>• არსებულ გამოწვევებზე ეფექტიანი რეაგირების მიზნით, შესაბამისი უწყებებისთვის რეკომენდაციების გაცემა. |
| **თემატური მოკვლევის ჯგუფის წევრები** | 1. ილია ვერძაძე - მთავარი მომხსენებელი, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე<br>2. ცოტნე ანანიძე - თანამომხსენებელი, ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე<br>3. ფატი ხალვაში - ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის წევრი<br>4. ლაშა სირაბიძე - ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის წევრი<br>5. ლევან ანთაძე - ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის წევრი<br>6. გია აბულაძე - ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის წევრი |
| **კითხვარი** | ❖ კომიტეტი იწვევს დაინტერესებულ მხარეებს (იურიდიული ან/და ფიზიკური პირი) წერილობითი ფორმით დასაბუთებული მოსაზრებების წარმოსადგენად.<br>❖ დოკუმენტურად დასაბუთებული მოსაზრებები უნდა პასუხობდეს შემდეგ კითხვებს (არ არის აუცილებელი ყველა კითხვაზე პასუხის გაცემა. შეგიძლიათ პასუხი/პასუხები წარმოადგინოთ მხოლოდ იმ კითხვა/კითხვებზე, რომლებზეც დასაბუთებული მოსაზრებები გაგაჩნიათ. დასაბუთებული მოსაზრების გამოგზავნისას, აუცილებლად მიუთითეთ ის კითხვა, რომელსაც პასუხობს თქვენი მოსაზრება):<br><br>1. რა პრობლემები იკვეთება შშმ პირთათვის გარემოს ხელმისაწვდომობის კუთხით და როგორ გესახებათ პრობლების გადაჭრის გზები? |

| | |
|---|---|
| | 2. რამდენად არის ადაპტირებული საჯარო დაწესებულებების შენობა-ნაგებობები საჯარო მოხელე შშმ პირთა და მოქალაქე შშმ პირთა საჭიროებებზე?<br>3. რამდენად არის შშმ პირთათვის ხელმისაწვდომი და მათ საჭიროებებზე მორგებული სერვისები მუნიციპალიტეტში (გზები, ტროტუარები, შენობები, საჯარო სივრცეები, ხიდები, სკვერები, გადასასვლელები, შშმ ბავშვთა გასართობი ზონები და ა.შ.)<br>4. რამდენად აქვთ დამსაქმებლებს გათვალისწინებული შშმ პირთა სპეციფიკა ვაკანსიის გამოცხადებისას? (მაგ: რამდენად აქვთ დამსაქმებლებს იდენტიფიცირებული ისეთი ადგილები, სადაც შესაძლებელია დასაქმდეს შშმ პირი).<br>5. ხდება თუ არა ინფრასტრუქტურული პროექტების შეთანხმებისა და ნებართვის გაცემის პროცესში შშმ პირთა საჭიროებების გათვალისწინება?<br>6. რა შესაძლო ნაკლოვანებები და ხელშემშლელი ფაქტორები არსებობს შშმ პირთა გარემოსთან ხელმისაწვდომობასა და საზოგადოებასთან ინტეგრაციისათვის?<br>7. რა შესაძლო ნაკლოვანებები და ხელშემშლელი ფაქტორები არსებობს შშმ პირთათვის დაძლიონ მათ წინაშე წარმოქმნილი ბარიერები, რომლებიც ხელს უშლის და არ აძლევს საშუალებას მიიღონ სათანადო განათლება?<br>8. რა ფორმით უნდა გააძლიერონ აღმასრულებელმა ხელისუფლებებმა მუშაობა, რათა უზრუნველყოფილ იქნას შშმ პირთათვის გარემოს ხელმისაწვდომობა თანაბარ პირობებში? |
| **დასაბუთებული მოსაზრებების გამოგზავნის ვადები** | დასაბუთებული მოსაზრებების გამოგზავნის ბოლო ვადაა 26 აგვისტო. |

| | |
|---|---|
| **დასაბუთებული მოსაზრებების გამოგზავნის პირობები** | ▪ ფაილი არ უნდა აღემატებოდეს 25 MB-ს;<br>▪ ფაილი უნდა იყოს მხოლოდ WORD-ის ფორმატში;<br>▪ ტექსტის სიდიდე უნდა შეადგენდეს 3500 სიტყვას და არ აღემატებოდეს 4 გვერდს (A4 ფორმატი);<br>▪ ყველა ინფორმაცია უნდა იქნეს მოქცეული ერთ ფაილში, მ.შ. დანართები, დამატებითი ინფორმაცია, ფოტოები, მასალები და ა.შ.<br>▪ წერილობით დასაბუთებულ მოსაზრებაში კარგად უნდა ირკვეოდეს ავტორის/მომხსენებლის ვინაობა: (მოსაზრების შედგენის თარიღი, ავტორის/მომხსენებლის საკონტაქტო ინფორმაცია - ელ-ფოსტა, ტელ. ნომერი);<br>▪ დასაბუთებული მოსაზრების დასაწყისში საჭიროა მოკლე რეზიუმე წინამდებარე ტექსტის შესახებ.<br>▪ აუცილებელია ტექსტის დასაწყისში მოკლედ იყოს წარმოდგენილი პოტენციური მომხსენებლის შესახებ:<br>○ იურიდიული პირის შემთხვევაში - ორგანიზაციული ფორმა, ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო ნომერი, საქმიანობის სფერო.<br>○ ფიზიკური პირის შემთხვევაში - სახელი, გვარი, პირადი ნომერი და საქმიანობის სფერო.<br>▪ არ არის აუცილებელი კომიტეტის მიერ დასმულ ყველა კითხვაზე პასუხის გაცემა. შეგიძლიათ პასუხი/პასუხები წარმოადგინოთ მხოლოდ იმ კითხვა/კითხვებზე, რომლებზეც დასაბუთებული მოსაზრებები გაგაჩნიათ. დასაბუთებული მოსაზრების გამოგზავნისას, აუცილებლად მიუთითეთ ის კითხვა, რომელსაც პასუხობს თქვენი მოსაზრება.<br>▪ აბზაცი დანომრილი უნდა იყოს პარაგრაფებად.<br>▪ ტექსტში მოცემული უნდა იყოს დეტალური ფაქტობრივი მონაცემები, რომელიც სამუშაო ჯგუფს მისცემს შესაძლებლობას გააკეთოს სწორი ანალიზი/დასკვნა.<br>▪ ტექსტში ასევე შესაძლოა იყოს ცალკეული რეკომენდაციები და შეხედულებები.<br><br>დასაბუთებული მოსაზრება უნდა გამოიგზავნოს შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: jandacva.aparati@gmail.com; Leila.jandacva@sca.ge |

| | |
|---|---|
| **თემატური მოკვლევის პროცედურის შესახებ** | **დასაბუთებული მოსაზრებების გასაჯაროება წერილობითი ფორმით**<br><br>• დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი დასაბუთებული წერილობითი მოსაზრებები საჯაროა და კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში ისინი განთავსდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდზე;<br>• ნებისმიერ მსურველს ექნება საშუალება, გაეცნოს წარდგენილ მოსაზრებებს.<br><br>**დასაბუთებული წერილობითი მოსაზრებების მიღების შემდეგ, კომიტეტი:**<br><br>• შეისწავლის მიღებულ მოსაზრებებს;<br>• გამოავლენს იმ პირებს, რომლებიც შემდგომში მოწვეული იქნებიან კომიტეტში, ზეპირი მოსმენის ეტაპზე, სადაც წარმოადგენენ დასაბუთებულ მოსაზრებებს მომხსენებლის სტატუსით. ზეპირი მოსმენა გაიმართება კითხვა-პასუხის რეჟიმში;<br>• მოსაზრების ავტორებს შეუძლიათ, მიმართონ კომიტეტს დასაბუთებული მოსაზრების არგამოქვეყნების თხოვნით, რისი მიზეზიც მათ მოსაზრების წერილობით წარდგენის დროს უნდა დააფიქსირონ;<br>• კომიტეტს არ გააჩნია ზეპირ მოსმენაზე ყველა დასაბუთებული წერილობითი მოსაზრების ავტორის მოსმენის ვალდებულება.<br><br>**ანგარიშის მომზადება და წარდგენა**<br><br>• კომიტეტი მოამზადებს შემაჯამებელ დასკვნას/ანგარიშს;<br>• შემაჯამებელ ანგარიშში აისახება კომიტეტის დასკვნები და რეკომენდაციები.<br>• კომიტეტის რეკომენდაციები შესაძლებელია წარედგინოს უმაღლეს საბჭოს ან რეაგირებისათვის ქვემდებარეობით გადაიგზავნოს.<br><br>**თემატური მოკვლევის ვადები:** 10 ივნისი - 30 ოქტომბერი<br><br>✓ დასაბუთებული მოსაზრების წარმოდგენა: 8 აგვისტო - 26 აგვისტო.<br>✓ მიღებული ინფორმაციის ანალიზი: 29 აგვისტო - 16 სექტემბერი.<br>✓ ზეპირი მოსმენის გამართვა: 19 სექტემბერი - 3 ოქტომბერი.<br>✓ დასკვნის მომზადება: 17 ოქტომბერი - 30 ოქტომბერი. |